



თბილისი, საქართველო 15 დეკემბერი, 2008 წ.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიმოხილვა

ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში მიმოხილავს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს 2008 წლის 11 დეკემბრის მდგომარეობით. უფრო კონკრეტულად, ის ანალიზებს ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, საგადასახადო ნოვაციებს და მათ მოსალოდნელ შედეგებს, ხარჯვით პრიორიტეტებს და ღონისძიებებისა და ორგანიზაციების ფინანსურ დახმარებას.

2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი იმ ცვლილებების კონტექსტშია დაგეგმილი, რომელიც საქართველოში პოსტსაომარი ვითარებით და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგებით არის განპირობებული.

შემცირებული ზრდა

ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ეკონომიკის ზრდა 2009 წელს 2%-დან 4%-მდეა მოსალოდნელი. რაც შეეხება ინფლაციას, მომავალი წლისთვის ინფლაცია 7-8%-ის ღონისძიება ნავარაუდევია.

წინასწარი სქემით, 2009 წლის ბიუჯეტის ასიგნებები 6 მლრდ 272 მლნ ლარს შეადგენს. 2007 წელს ეს პარამეტრი 5 მლრდ 230 მლნ ლარი იყო, 2008 წელს კი ევრობლიგაციებთან ერთად – 7 მლრდ 200 მლნ ლარი.

ასე რომ, ბოლო წლების პერმანენტული ზრდის შემდეგ, 2009 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი თითქმის მილიარდი ლარით ნაკლები იქნება. აქედან ნახევარი – დაახლოებით, 500 მილიონი თავდაცვის სფეროს დაფინანსებას მოეჭრება, დანარჩენი სხვა მიმართულებებიდან (მათ შორის, ჯანდაცვის და სოციალური პროგრამებიდანაც) შეიკვეცება.

გადასინჯული დაპირებები

პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენილი 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ამჟამინდელი ვერსია რიგით მეორეა, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში შევიდა. ოქტომბერში წარდგენილი ვარიანტი პარლამენტმა დაიწუნა მასში მოსალოდნელი ღონისძიებული დახმარების არასრულად ასახვისა და ნაკლები სოციალური ორიენტირებულობის გამო.



მას შემდეგ, რაც პარლამენტმა 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი დაიწუნდა და მთავრობას უკან დაუბრუნა, მასში რამდენიმე სიახლეა გათვალისწინებული. ახალ ვერსიაში, რომელსაც მთავრობა „დასაქმების ბიუჯეტს“ უწოდებს, რიგი ცვლილებები შევიდა, მათ შორის, სოციალური დახმარებების პაკეტის 169 მლნ ლარით გაზრდის კუთხით, რაც სხვადასხვა მიმართულებებზე გადაანაწილდება.

2009 წლის იანვრიდან ასაკით პენსიონერებს 5 ლარით, ხოლო ნოემბრიდან დამატებითი 5 ლარით გაეზრდებათ პენსია. ამას გარდა, სტაჟისა და ნამსახურების დანამატი ყველა პენსიონერისთვის 10 ლარს მიაღწევს. აქამდე ეს დანამატი 2-10 ლარის ფარგლებში დიფერენცირებულად, განსხვავებული სქემით გაიცემოდა. შესაბამისად, 2009 წელს დაგეგმილი საპენსიო პაკეტის 100 დოლარამდე გაზრდის პირობა გაუქმებულია.

შეზღუდული შესაძლებლობების პირების დახმარება 1 ნოემბრიდან ასევე 5 ლარით გაიზრდება. გარდა ამისა, სიღარიბის ქვემოთ მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა 700 ათასიდან 900 ათას ადამიანს მიაღწევს, თუმცა აქედან მხოლოდ 400 ათასი მიიღებს საოჯახო დახმარებას 30 ლარს, რასაც დაემატება ოჯახის თითოეულ წევრზე 24 ლარი, ნაცვლად არსებული 12 ლარისა. 200 ათასი ბენეფიციარი მიიღებს 36 ლარს. ხოლო 300 ათასი 18 ლარს. ამასთან, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 900-ზე ათასი ბენეფიციარი ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს მიიღებს.

იმავდროულად, 50 ლარით ეტაპობრივად გაიზრდება მასწავლებელთა ხელფასები - 25 ლარით 1 იანვრიდან და 25 ლარით 1 სექტემბრიდან.

57 მილიონი ლარით იზრდება პროექტები სოფლის მეურნეობის დასახმარებლად, მათ შორის 20 მილიონი ლარი გამოიყოფა „იაფი კრედიტების“ გასაცემად სოფლის მეურნეობაში ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. მომავალ წელს გზების მშენებლობისათვის 518 მლნ ლარი გამოიყოფა.

საგადასახადო ნოვაციები და მოსალოდნელი შედეგები

აღსანიშნავია, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი ახალი საგადასახადო რეჟიმის ამოქმედების ფორმატში იგეგმება და, სავარაუდოდ, უახლოესი 3-4 წლის ბიუჯეტსაც იგივე ელის. უმთავრესი სიახლე ის არის, რომ 2009 წლიდან საქართველოში საშემოსავლო გადასახადი 25%-დან 20%-მდე შემცირდება. მომავალი წლიდან განახევრდება დივიდენდზე გადასახადიც 10%-დან 5%-მდე.

წინასწარი გეგმით, საშემოსავლო გადასახადი 15%-მდე არა ადრე დაგეგმილ 2013, არამედ 2012 წლისთვის შემცირდება. 2009 წლის იანვრიდან ის 5%-ით (ე.ი. 20%-მდე) დაიკლებს, 2010 წელს იგივე დარჩება, 2011 წელს 18%-ზე ჩამოვა და ბოლოს, 2012 წელს კი 15%-ს გაუტოლდება.

იგივე რეჟიმით იკლებს გადასახადი დივიდენდზე – მომავალი წლიდან ის 10%-დან 5%-მდე ჩამოვა, 2010 წელს უცვლელი დარჩება, 2011 წელს 3%-მდე შემცირდება, 2012 წელს კი საერთოდ გაუქმდება (ეს გადასახადიც, ადრინდელი გეგმით, 2013 წლისთვის უნდა გაუქმებულიყო).

მთავრობის გათვლით, ეს ნიშნავს დამატებით 250 მილიონ ლარს ქართულ ეკონომიკაში. გაიზრდება ყველა დასაქმებული ადამიანის შემოსავალი (რეალური ფინანსური ეფექტი ხელფასზე 6,7%-ის დანამატი იქნება) და შესაბამისად, გაიზრდება მათი დანაზოგები. გარდა ამისა, გადასახადის შემცირება, ცხადია, არის კარგი პირობა ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად თუ არა, ძველის შესანარჩუნებლად მაინც.

იგეგმება სხვა საგადასახადო ცვლილებებიც, რომელთა ჯამური გავლენა ეკონომიკაზე გაცილებით უფრო მასშტაბური იქნება.



მომავალი წლიდან ქონების გადასახადი მნიშვნელოვნად შეიცვლება. პირველ რიგში, ეს ინდივიდუალურ მეწარმეებს შეეხებათ. მათთვის ამჟამად ქონება ორი სხვადასხვა გადასახადით რეგულირდება. ის ეკონომიკური და არაეკონომიკური საქმიანობის ქონებად იყოფა. საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების შესაბამისად, ორმაგი ქონების აღწერის რეჟიმი საერთოდ უქმდება და იკლებს ქონების გადასახადის განაკვეთი.

თუ აქამდე ინდემწარმეს ნებისმიერი რაოდენობის შემოსავალზე, ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე ერთი პროცენტი უნდა გადაეხადა, ეს მაჩვენებელი საერთოდ განუღდება, თუ მისი შემოსავალი 40 ათას ლარს არ აღემატება. 40-დან 100 ათასამდე ბრუნვის შემთხვევაში კი ინდემწარმეები 0,2%-ს გადაიხდიან.

მსუბუქ ავტომობილებზე ქონების გადასახადი კი საერთოდ უქმდება, რაც მათ მფლობელებს წლიურად 5-დან 300 ლარამდე დაუზოგავს.

საგადასახადო კოდექსში ცვლილების პროექტის თანახმად, თუ კომპანიებისთვის დამატებითი ღირებულების გადასახადის ზედმეტობა წარმოიქმნება, მათთვის ამ თანხის დაბრუნება 3 თვეში იქნება შესაძლებელი, ნაცვლად ახლა არსებული 6 თვისა.

საბოლოო ანაგარიშით, მთავრობა მოელოს, რომ საგადასახადო ლიბერალიზების შედეგად რეალურ ეკონომიკაში 500 მილიონამდე ლარი დარჩება, რაც ბიუჯეტის შემოსავლებს შეამცირებს, მაგრამ ბიზნესს მეტ საბრუნავ სახსრებს დაუტოვებს.

შედეგად, საგადასახადო განაკვეთების შეცვლის შესაბამისად გაანგარიშებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 5 მილიარდ 321 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2007 წლის მაჩვენებელს 19%-ით აღემატება, შარშანდელს კი 2%-ით ჩამოუვარდება.

დასახელება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის გეგმა	2009 წლის გეგმა
შემოსავლები	4,469,122.9	5,445,709.0	5,320,574.5
გადასახადები	3,010,535.8	4,575,000.0	4,759,000.0
სოციალური შენატანები	722,049.8	0.0	0.0
გრანტები	208,693.5	526,211.0	250,779.5
სხვა შემოსავლები	527,843.9	344,498.0	310,795.0

2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მისაღები გადასახადების მობილიზების მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 22,1%-ია და შეადგენს 4 759. მლნ ლარს. გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები ცალკეული გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 მილიარდ 153 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 5,4%-ია და 2008 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 6,4%-ით ჩამოუვარდება.



მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 601 მლნ ლარით, რაც მშპ-ის 2,8%-ია და 2008 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 5,9%-ით.

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 მილიარდ 389 მლნ ლარით (მშპ-ს 11,1%), რაც 2008 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 11,8%-ით აღემატება.

აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 542 მლნ ლარის ოდენობით (მშპ-ს 2,5%), რაც 2008 წლის საპროგნოზო მაჩვენებელზე 6,2%-ით მეტია.

საბაჟო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 44 მლნ ლარით (მშპ-ის 0,2%) ანუ 2008 წლის საპროგნოზო მაჩვენებელზე 8,5%-ით ნაკლები.

სხვა გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 30 მლნ ლარით (მშპ-ს 0,14%), რაც წინა წლის მაჩვენებელს 63%-ით ჩამორჩება.

შემოსულების კოდები	დასახელება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის გეგმა	2009 წლის გეგმა
11	გადასახადები	3,010,535.8	4,575,000.0	4,759,000.0
11111	საშემოსავლო გადასახადი	0.0	1,231,600.0	1,153,000.0
11121	მოგების გადასახადი	533,123.3	567,300.0	601,000.0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადი	1,973,665.8	2,136,400.0	2,389,000.0
1142	აქციზი	428,637.0	510,300.0	542,000.0
1151	საბაჟო გადასახადი	51,965.6	48,100.0	44,000.0
116	სხვა გადასახადები	23,144.2	81,300.0	30,000.0

ღონორების მოლოდინი და დახმარება

მსოფლიო ბანკის და გაეროს შეფასებით, მსოფლიო კრიზისის და აკვისტოს მოვლენების შემდეგ, საქართველოს ეკონომიკას რეცესია ემუქრება. ღონორების პროგნოზით, უანგლოეს ხანებში უმუშევართა ოდენობა, სავარაუდოდ, 100 ათასით გაიზრდება და 350 ათასს მიაღწევს, რაც სამუშაო ძალის საერთო რიცხოვნობის მეხუთედია.

ამავე კვლევის მიხედვით, საუკეთესო შემთხვევაში გადავადდება ინვესტიციები მშენებლობაში, უძრავ ქონებაში, საცალო ვაჭრობასა და ტურიზმში. ღონორების დასკვნით, სტაბილურობის აღდგენამდე ეჭვქვეშ დადგება ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია. დეფიციტია მოსალოდნელი საბიუჯეტო შემოსავლებშიც, რაც ღონორების დახმარებით უნდა შეივსოს.



დონორების პროგნოზით, კონფლიქტამდე და კონფლიქტის შემდეგ ვითარება ასე შეიცვალა: თუ მანამდე წლიური ზრდა 9%-ის ფარგლებში ივარაუდებოდა, ახლა მისი მოცულობა 3,5%-მდე დაეცემა. ინფლაცია 10%-დან 8%-მდე იკლებს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კი 16,6%-დან 20,8%-მდე მოიმატებს. მიმდინარე წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაგეგმილზე თითქმის მილიარდი დოლარით ნაკლები შემოვა და მხოლოდ 1,2 მილიარდს შეადგენს. რაც შეეხება ბიუჯეტს, რომელიც წინასწარი გეგმით პროფიციტული უნდა ყოფილიყო, ამჟამად ის დონორების დახმარების სახით 480 მილიონამდე დოლარს საჭიროებს. სწორედ ამიტომ დონორების დახმარების სოლიდური ნაწილი სწორედ ბიუჯეტის მხარდაჭერისკენ იქნება მიმართული.

2009 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 251 მლნ ლარის ფარგლებში. მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულმა გრანტებმა 126 მლნ ლარი უნდა შეადგინოს, უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობიდან მიღებულმა გრანტებმა 125 მლნ ლარი. გრანტების მოცულობა შარშანდელს ორჯერ და მეტად ჩამოუვარდება. თუმცა, მთავრობა იმედოვნებს, რომ წლის განმავლობაში დამატებით დახმარებებს ამ მხრივაც მიიღებს.

შემოსულობების კოდეზი	დასახელება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის გეგმა	2009 წლის გეგმა
13	გრანტები	208,693.5	526,211.0	250,779.5
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	47,522.3	69,479.9	125,589.7
	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	18,515.6	48,746.6	88,514.7
	კაპიტალური დანიშნულების გრანტები	29,006.7	20,733.3	37,075.0
132	უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობიდან მიღებული გრანტები	54,171.2	456,731.1	125,189.8
	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	22,476.9	385,320.0	1,620.0
	კაპიტალური დანიშნულების გრანტები	31,694.3	71,411.1	123,569.8
133	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	107,000.0	0.0	0.0
	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	107,000.0	0.0	0.0

საგარეო ვალდებულებების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი კი 467 მლნ ლარით განისაზღვრება. მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი ბიუჯეტის მხარდაჭერი შეღავათიანი კრედიტი 66 მლნ ლარი იქნება, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები კი – 401 მლნ ლარი.

დევნილთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის უცხოეთიდან მიღებული დაფინანსებითა და თანადაფინანსებით სულ გათვალისწინებულია 17 მილიონი ლარი, მათ შორის დონორთა დაფინანსება შეადგენს 14 მილიონს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები დონორებთან ამ მიმართულებით დამატებით ასიგნებების გამოყოფის თაობაზე.

სექტორული ჭრილი



ბიუჯეტის შემოსავლების მილიარდიანი კლების პირობებში უწყებათა დაფინანსება სხვადასხვა ტენდენციებით ხასიათდება. ბიუჯეტის რეციპიენტების დაფინანსება მკვეთრად იზრდება ან მცირდება, რაც ნაკლებად ატარებს ერთიანი საბიუჯეტო სქემის შინაარსს.

2009 წელს 38 მილიონიდან 43 მილიონ ლარამდე უნდა გაიზარდოს **პარლამენტის** დაფინანსება, რაც არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოზე, არამედ მის სისტემაში შემავალ ინსტიტუტებზეც გადანაწილდება.

21 მილიონიდან 16 მილიონამდე იკლებს **პრეზიდენტის ადმინისტრაციის** დაფინანსება. თუმცა, კვლავინდებურად 25 მილიონით არის განსაზღვრული პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ასიგნებები. როგორც ბოლო წლების გამოცდილება ცხადყოფს, ამ ფონდიდან წლის განმავლობაში თავდაპირველად განსაზღვრულზე გაცილებით მეტი თანხები იხარჯება.

თითქმის 4,5-ჯერ – 3 მილიონიდან 700 ათას ლარამდე იკლებს **ეროვნული უშიშროების საბჭოს** აპარატის დაფინანსება.

თითქმის 6-ჯერ – 47-დან 8 მილიონ ლარამდე მცირდება **ცენტრალური საარჩევნო კომისიის** დაფინანსება, რაც იმით არის განპირობებული, რომ 2009 წელს ქვეყანაში არჩევნების ჩატარება არ იგეგმება.

ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება 1 მილიარდ 900 ათასი ლარიდან 1 მილიარდ 363 მილიონამდე დაიკლებს.

საინტერესო ცვლილებებია ფინანსთა სამინისტროს დაფინანსების შიდა კომპონენტების მხრივაც: 124-დან 252 მილიონამდე გაიზრდება **საგარეო ვალდებულებების გასასტუმრებლად** მისამართი თანხების ოდენობა, **ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფინანსური დახმარება** მცირდება 444-დან 395 მილიონამდე. 48 მილიონიდან 63-მილიონამდე იზრდება შემოსავლების სამსახურის ბიუჯეტი.

მნიშვნელოვანი ზრდაა **ეკონომიკის სამინისტროს** ბიუჯეტში – მისი მოცულობა 391-დან გაიზრდება 587 მილიონამდე. აქედან ყველაზე დიდი ზრდა **საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების** ღონისძიებების დაფინანსებაში იგეგმება. ამ საჭიროებებზე 2008 წლის 297 მილიონის ნაცვლად, 2009 წელს 518 მილიონი მიიძღვრება. შემცირდება „**იაფი კრედიტის**“ კომპონენტი – 50-დან 20 მილიონ ლარამდე. დასაქმების პროგრამა საერთოდ გაუქმდება.

ახლადშექმნილი **სასჯელალსულებისა და პრობაციის სამინისტროს** დაფინანსება 98-დან 116 მილიონამდე მოიმატებს. იუსტიციის სამინისტროდან გამოყოფილი ამ ერთეულის დაფინანსება ბევრ ცალკე აღებულ სამინისტროზე (მაგალითად, **საგარეო საქმეთა სამინისტრო** – 70 მილიონი, **სოფლის მეურნეობის სამინისტრო** – 87 მილიონი, **კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო** – 86 მილიონი ლარი, **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო** – 37 მილიონი ლარი) გაცილებით მეტია.

ყველაზე მსხვილი კლება **თავდაცვის სამინისტროს** შეეხება – მილიარდ 545 მილიონი ლარიდან 950 მილიონ ლარამდე. აქედან ყველაზე მეტად დაფინანსების შემცირება სამინისტროს მართვის **სამოქალაქო ოფისს და გენერალურ შტაბს** შეეხება (450 მილიონი ლარით). მოეჭრება დაფინანსება თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ **საჯარო სამართლის იურიდიულ**



პირებს (145 მილიონი ლარით) და თავდაცვის სამინისტროს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების სისტემას (90 მილიონი ლარით).

180 მილიონი ლარით – 740-დან 560-მდე შემცირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება. აქედან მნიშვნელოვნად მცირდება სასაზღვრო პოლიციის ასიგნებები – 80-დან 50 მილიონამდე.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება 468-დან 525 მილიონამდე მოიმატებს. გაიზრდება სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების, ასევე სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამების და სტიპენდიების დაფინანსება. თუმცა, გაუქმდება ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო და სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა (7 მლნ ლარის საერთო ბიუჯეტით).

ლტოლვილებისა და განსახლების სამინისტროს დაფინანსება მკვეთრად – 97-დან 30 მილიონ ლარამდე შემცირდება. სამინისტროს ბიუჯეტში ლტოლვილთა შემწეობების 57-მილიონი კომპონენტის საერთოდ გაუქმება გათვალისწინებული. მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ხარჯებიც, რომელმაც 2008 წელს 11 მილიონი ლარი უნდა შეადგინოს, 2009 წელს სიმბოლურ 1 მილიონამდე შემცირდება.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 1 მილიარდ 318 მილიონიდან 1 მილიარდ 495 მილიონ ლარამდე გაიზრდება.

სოციალური პროგრამების დაფინანსება 998 მილიონიდან გაიზრდება 1 მილიარდ 129 მილიონამდე, პენსიები, კომპენსაციები და აკადემიური სტიპენდიები – 777-დან 858 მილიონამდე, ჯანდაცვის პროგრამები – 215-დან 256 მილიონამდე, მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევა – 75-დან 130 მილიონამდე. მცირდება სახელმწიფო დაფინანსება პროგრამაში „ამბულატორიული მოსახურება სოფლად“ – 22-დან 15 მილიონ ლარამდე.

თუმცა, მომავალი წლის ბიუჯეტში ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამების შეკვეცა ან კლება არის განსაზღვრული, როგორცა ონკოლოგიური და დიაბეტური დაავადებების, გულის ქირურგიისა და ურგენტული პროგრამების დაფინანსება.

მომავალი წლიდან ონკოლოგიურ დაავადებებზე 70%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მხოლოდ 60 წელს გადაცილებულ ადამიანებზე რჩება და 3-ჯერ არის შემცირებული, ისევე, როგორც ურგენტული ანუ გადაუდებელი ავადმყოფის 6-დღიანი სტაციონარული მკურნალობა.

გარდა მისა, 2009 წლის ბიუჯეტის პროექტში თითქმის 12-ჯერ მცირდება დიაბეტით დაავადებულთა სტაციონარული მომხმარებების თანხებიც, რომლითაც მარტო 2008 წლის 9 თვის მანძილზე 55 ათასზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა.

ენერგეტიკის სამინისტროს ბიუჯეტი 2009 წელს, 2008-სთან შედარებით გამესამედდება, 120-დან 40 მილიონ ლარამდე. ენერგოსისტემის სუბსიდირებაზე მიმართული თანხების ოდენობა 83-დან 15 მილიონამდე დაიკლებს. ჰიდრო და თბოელექტროსადგურების რეაბილიტაციაზე თანხები საერთოდ არ დაინარჯება (2008 წელს ამ მიზნით 11 მილიონი დაინარჯა), ბუნებრივი გაზის სექტორში სარეაბილიტაციო სამუშაოებზე კი 15 მილიონი მიიმართება (2008 წელს ეს სფერო ბიუჯეტიდან არ დაფინანსებულა).

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის დაფინანსება 2009 წელს თითქმის განახევრდება და 19-დან 10 მილიონ ლარამდე დაიკლებს.

2008 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გაიზრდება საქართველოს საპატრიარქოს ასიგნებები, რომლებიც წლევეანდელი 10 მილიონიდან 25 მილიონამდე მოიმატებს.



ინფორმაცია პროექტის შესახებ

წინამდებარე ანგარიში მომზადდა პროექტის „ეფექტური დახმარება საჯარო მონაწილეობის მეშვეობით“ ფარგლებში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ეს ორთვიანი პროექტი დაფინანსებული იყო საქართველოში ეუთო-ს მისიის მიერ, რომელმაც ამ მიზნისთვის 14 620 ევრო გამოყო. ანგარიში დაურიგდა 2000-ზე მეტ ადამიანს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



უახლოეს წლებში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ გააგრძელებს საქართველოში შემომავალი საერთაშორისო დახმარების აღნუსხვას, მონიტორინგს და შეფასებას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ მომზადებული ანგარიშების გამოწერა შეგიძლიათ ჩვენს ვებ-გვერდზე: www.transparency.ge